

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №01-06/03  
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი**

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული ქონების შპს „ქედის კომუნალუსერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების  
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და  
ბუნებრივი რესურსების საკითხების  
კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: ლევან გორგილაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო  
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების  
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

პროექტი

## ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №  
2021 წლის -- მარტი

### დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უფლებულობრივი ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული 38 (ოცდათვრამეტი) ერთეული ქონება - პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ერთი ცალი 1100 ლიტრიანი ტევადობის), შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, მისი არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის

ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

**ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:**  
ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშმწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის პროცედურებს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ მერისათვის თანხმობის მიცემა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუნიციპალიტეტის ქადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული 38 (ოცდათვრამეტი) ერთეული ქონება - პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ერთი ცალი 1100 ლიტრიანი ტევადობის), შპს „ქადის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, მისი არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრულექტის ფორმით გადაცემა.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

**ბ.ვ) ინდივიდუალური აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

ინდივიდუალური აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (ს. ბოლქვაძე).

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2021 წლის -- მარტი  
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში  
გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**შუქრი თურმანიძე**



ქედის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის  
ანგარიში

სამუშაო წელი: 2020

2021 წელი

## შესავალი

2020 წელი ძირითადად მიეძღვნა ახალ კორონავირუსთან - COVID-19 ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ მერიის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დაგეგმილი ბევრი პროგრამა თუ პროექტი, გადაეწყო სოციალური მიმართულებით, არ შეჩერებულა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, მოქალაქეთა ჩართულობის მზარდი ტემპი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და წარმატებით განხორციელებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა დაბასა და დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი სამოქალაქო თუ სოციალური პასუხისმგებლობა.

## COVID-19 (პრევენციული ღონისძიებები)

ქედის თვითმმართველობა სქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პანდემიის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების თანახმად, გეგმავდა და ახორიციელებდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც არსებული რეკომენდაციების აღსრულებას ითვალისწინებდა.

დისტანციური საქმიანობის ფორმატზე გადავიდა თვითმმართველობა, მუნიციპალური ორგანიზაციები, სააღმზრდელო დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ ბალების გაერთიანების და სახელოვნებო სკოლის ჰიბრიდული სწავლების მოდელზე გადასვლამ, რეგიონის მასშტაბით მოწონება დაიმსახურა და არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი მიეძღვნა.

კვირაში ორჯერ, შპს ქედის ქედის კომუნალურსერვისის მიერ ხორციელდებოდა დაბების, ქუჩების, მაღაზიების, აფთიაქებისა და ამბულატორიების მიმდებარე ტერიტორიებს დეზინფექცია.

პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ქედის განყოფილების მიერ ხორციელდებოდა იზოლაციაში მყოფი ადამიანების კონტროლი, ხოლო ძალოვანი სტრუქტურების მიერ არსებული შეზღუდვების აღსრულება. შეიქმნა ცხელი ხაზის სერვისი, რომლითაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში სარგებლობდნენ მოქალაქეები.

საქართველოს წითელმა ჯვარმა დაატრენინგა მუნიციპალიტეტში შექმნილი მოხალისეთა ჯგუფი 50 ახალგაზრდის მონაწილეობით, რომლებმაც უზრუნველჰყვეს, როგორც მთავრობის მიერ შემუშავებული კალათების მიღება/დაანაწილება, ასევე ბიზნესმენების, სხვადასხვა ჯგუფებისა და ინდივიდუალური პირების მიერ გაღებული შემოწირულობების ადრესატებამდე მიტანა. მოხალისეები ასევე მერიის მხარდაჭერით, მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიაში.

პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ავტოპარკი. თანამშრომელთა პირადი ავტომანქანები, მოხალისეთა ავტომანქანები. კარანტინის დროს მერიის ავტომანქანებით განხორციელდა რამდენიმე მოქალაქისათვის განკუთვნილი მედიკამენტების ამოტანა ქალაქ ბათუმიდან, ინსულინით დაავადებულთათვის და სხვა კატეგორიების სპეციფიკური წამლებით მომარაგება, ასევე ჩვილ ბავშვთა სპეციალური საკვებით მომარაგება და ა.შ. სურსათის კალათები დაურიგდათ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, მოწყვლად ოჯახებს.

მერიის ჩართულობით განხორციელდა საქველმოქმედო აქცია “გაქვს გაიღე, არ გაქვს წაიღე”, რომლის

ფარგლებში ორასორმოცდაათამდე ოჯახმა ისარგებლა სასურსათე კალათით. ქედის მერია აქტიურად თანამშრომლობდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა აქტივობებისა და ინიციატივების განხორციელების მიზნით.

### **მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:**

- ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა;
- მერიის სერვისებზე მოქალაქეთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა;
- თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა;
- კრიზისული სიტუაციების მართვა.

### **ვთანამშრომლობა:**

- აქტიურია თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: საქართველოს წითელი ჯვარი, GIZ, CENN, EMPARD, NAF, DVV international, დემოკრატიის ინსტიტუტი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, ქედის ზრდასრულთა ცენტრი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, შავი ზღვის ეკო აკადემია, ქალები სამართლიანობისთვის, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, ქალ ბიზნესმენთა ასოციაცია, თავისუფალ ურნალისტთა სახლი, და ა.შ.
- მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში;

### **2020 წელს დანერგილი სიახლეები:**

#### **➤ ახალი ინიციატივა - „მონაწილეობითი ბიუჯეტი“**

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის გიზის მხარდაჭერით, დაიწერგა 2020 წელს დაბასა და დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში საპილოტედ, რომლის ბიუჯეტი პირველ ეტაპზე 300 000 ლარი იყო.

დაბა ქედაში კენჭისყრის პროცესში 412 მოქალაქე მონაწილეობდა, ჯამში 56 %;

მათგან: 376 ხმით უპირატესი გამარჯვება მოიპოვა პროექტმა - სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა / სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა ქალებისთვის - ავტორები: მარიეტა ჯაყელი / მარი გორაძე;

დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ჭინვალებში, ჭალახმელასა და დოლოგანში, კენჭისყრის პროცესში 540 მოქალაქე მონაწილეობდა, ჯამში 79%.

დარეგისტრირებულ 7 იდეას შორის, მხოლოდ ოთხმა პროექტმა გაიმარჯვა:

- დოხომეებში - შიდა გზების მოწესრიგება - ავტორი გივი ლორთქიფანიძე
- ჭინვალებში - გარე განათების ქსელის მოწყობა - ავტორი რამაზ მიქელაძე
- ჭალახმელაში - სოფელ ჭალახმელაში მდინარის დამცავი ჯებირის აგება / სავარგულების დამცავი ჯებირის აგება - ავტორები: ტარიელ ბედინაძე / ფატი ბედინაძე

- დოლოგანი - სოფელ დოლოგნის ცენტრის კეთილმოწყობა - ავტორი მანუჩარ კოჩაძე

(აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ორგანიზაცია UNDP-ის მხარდაჭერით, მოხდა მოსახლეობის ონალაინ გამოკითხვა და გამოვლენილი პრიორიტეტები გათვალისწინებული იქნა მიმდინარე წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას. მუნიციპალიტეტი გადასულია პროგრამული ბიუჯეტის აპრობირებულ მეთოდზე)

- ახალი - პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“

რომლის ფარგლებში, საფუძველი ჩაეყრება ინტერმუნიციპალურ პროექტებს (ქედა, შუახევი, ხულო);

- შეიქმნა ახალი შპს - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ - რომლის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა;

ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა;

დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა;

ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოლულარიზაცია;

ვ) დონორებთან ურთიერთობა.

- აშენდება აგარის სოციალური სახლი;

- დაპირებისამებრ, შენდება აქუცის ხიდი;

- გამოიყო პროფესიული სასწავლებლისთვის (ბლექ სი) ფართი და გარემონტდა;

- შენდება მშრალი ხილის საწარმო სოფელ ძენწმანში;

- დაიწყო ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალური პარკის თანამედროვე სტანდარტების დაცვით, სრული რეაბილიტაცია;

- გრძელდება მერის ინიციატივა საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწესრიგება/მშენებლობა (დანდალოს ხიდები)

- გრძელდება მერის ინიციატივა „სოლიდარობის დღე“ (სიკეთის პანდემიის მოხალისეებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანისთვის ადამიანის“ და ქედის მერიის მხარდაჭერით, მოწყვლად ოჯახებს ტანსაცმელი გადასცეს)

- გრძელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, რისთვისაც მერია ყოველთვის გამოთქვამს მზაობას (დაინერგება გენდერული ბიუჯეტი)

- დაირგო მარაოსებრი პალმები აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე;

- სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;
- ახოს საბავშვო ბალის რეაბილიტაცია;
- გრძელდება გენდერული ღონისძიებების მხარდაჭერა, ძალადობის წინააღმდეგ მაშტაბური კამპანია გაიმართა.
- ჩატარდა ღია შეხვედრები მოსახლეობასთან და მოხდა პრობლემების სელექცია, რომელიც 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა.
- ქედის მუნიციპალიტეტის 6 სოფლის გაზიფიცირება დასრულდა;
- აჭარის ა რ საგზაო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- აჭარის ა რ განათლების, კულტურისა და სპორტის მიერ განხორციელებული პროგრამები;
- აჭარის ჯანმრთელობისა და სცოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები;
- აჭარის სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამები, მათ შორის - უფასო ხვნის პროგრამა, ფერმერთა ხელშეწყობა, ბოსტნეულის ჩითილების დარიგება და ა.შ.

#### მიზეზების გამო ვერ შესრულდა:

- პარკინგი- დაბის განტვირთვის გეგმა;
- ისტორიული მუზეუმის ადგილმონაცვლეობა;
- ზვარეში პარკის მოწყობა (თუმცა მოსახლეობას განემარტა რატომ ვერ მოეწყობა მითითებულ ადგილას და შეთანხმება მოხდა პარკის ადგილმონაცვლეობაზე);
- დაგეგმილი სპორტული, კულტურული, ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვა - პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით.

#### ჩართულობა:

- მოსახლეობასთან სისტემატიური კონტაქტი, მათი საჭიროებების ადგილზე შესწავლა და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების პროცესში;
- კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და პარასკევს, მოქალაქეთა ოფიციალური მიღება;
- დაგეგმილი პროექტების, ბიუჯეტის და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივებისაჯარო განხილვები;
- სხვადასხვა აქციებისა და კამპანიების ორგანიზება;
- მრჩეველთა საბჭოებთან აქტიური თანამშრომლობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო შტაბის ეფექტური მუშაობა;
- საზოგადოებისათვის ნებისმიერი საკომუნიკაციო არხი ღიაა - მესიჯბოქსი, უშუალო შეხვედრები, ოფიციალური შეხვედრები, სატელეფონო კავშირი, ფაქსი, ინტენსიური

თანამშრომლობა ბეჭდურ, ტრადიციულ და არატრადიციულ მედია საშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, პრესა, სოციალური ქსელები), ელექტრონული მიმოწერები და ა.შ.

ნებისმიერ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება მერიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, ქედის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - **f-ქედის** მუნიციპალიტეტი. **Keda municipality**, მოსახლეობის აზრის საკვლევად არაერთი ინტერაქტივი განხორციელდა.

## **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის წლიური შესრულების შესახებ**

### **შემოსულობები**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა **11 631 356** ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **12 108 471** ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მდგომარეობით:

- მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი **2 292 491.99** ლარი;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი **1 600 000** ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - **1 099 151.07** ლარი;
- გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა **7 127 710.99** ლარი, მათ შორის:
  - დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან **6 792 099.07** ლარი;
  - ქონების გადასახდი **335 612** ლარი;
  - სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა **236 508** ლარი, მათ შორის:
    - პროცენტები **20 454** ლარი;
    - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის **85 835** ლარი;
    - ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის **13 184** ლარი;
    - სანებართვო მოსაკრებლი **37 238** ლარი;
    - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება **13 482** ლარი;
    - ჯარიმები, სანქციები და საურავები **23 871** ლარი;
    - ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე **42 445** ლარი;
    - არაფინანსური აქტივების კლებიდან **122 530** ლარი.
- ✓ 2020 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა **103,50%**-ით.

### **გადასახდები**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2020 წლის

გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **12 108471** ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **11 650 162,92** ლარი. (96.21%)

## I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2176034,91 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2118596,52 ლარი, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 556 460 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 551182 ლარი.
- მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1511282 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1470461 ლარი.
- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 59 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 52732 ლარი.
- მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 44 315 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 221,22 ლარი.

## II. ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **1 439 338** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 403 448** ლარი, საიდანაც:

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 854015 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **818 247** ლარი,

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **503 023** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **503 022** ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტში აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 69200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **69 129** ლარი.

სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანში, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **8 100** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **8 050** ლარი.

მთებზე მოიალიეთა ტრანსპორტირების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **5000** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **4 999,89** ლარი.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **555 510** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ **519 759** ლარი, მათ შორის:

სოფელ ორცვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **124 500** ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **119 311** ლარი,

სს „აჭარის წყლის აღიანსი“-ის საწესდებო კაპიტალის შეტანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **15 600 ლარი,**

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიღების შეძენის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **12 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **11 777 ლარი.****

ზუნდაგის ბაგა-ბაღის წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **29 050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **28 155 ლარი.****

დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ხარაულა-ჯალაბაშვილებისა და დანდალოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **28 500 ლარი,** ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **16 422 ლარი,**

მახუნცეთში (აწესის დასახლებაში) საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **19 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **18 634 ლარი,****

შპს ქედის წყალკანალი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **325 460 ლარი, ხოლო** ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **325 459 ლარი.**

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **1 823 960 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **1 742 787 ლარი, მათ შორის:****

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **483 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **474 518 ლარი.****

დაბა ქედაში მ. კოსტავას ქუჩა #3 მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **146 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **106 434 ლარი.****

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარის წყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **386 160 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **382 835 ლარი.****

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **174 820 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **158 613 ლარი.****

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **22 600 ლარი,** ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **22 516 ლარი.**

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **371 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **371 900 ლარი.****

ზვარის ცენტრის კეთილმოწყობა (მოსაცდელის მშენებლობა) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **5 500 ლარი.**

დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩა №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **87 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა **85 004 ლარი.****

დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა **30**

**030 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 126 ლარი.**

**დაბა ქედაში თამარ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90 291 ლარი.**

**სოფელ ქედაში მე-3 ქუჩის I ჩიხი №2 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22 250 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 549 ლარი.**

**ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 870 ლარი.**

**პრიორიტეტული ონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 214 477 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199 466 ლარი.**

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი.**

**არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 600 ლარი.**

**შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 71 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70 681 ლარი.**

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 748 056 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 622 036 ლარი.**

### **III. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

**დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541 650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541 566 ლარი, მათ შორის:**

**შპს ქედის კომუნალურსერვისი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541 650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541 566 ლარი.**

**ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 640 ლარი.**

### **IV. განათლება**

**განათლების სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1352306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 327 564 ლარი, მათ შორის:**

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 352 306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 327 564 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბალების გაერთიანების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 224 376 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 205 833 ლარი.

ახოს ბაგა-ბალის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 789 ლარი.

დაბა ქედის N2 ბაგა-ბალის რემონტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 57 230 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54 943 ლარი.

## V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 774 915 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 739 682 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 900 535 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 869 946 ლარი, საიდანაც:

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 266 910 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 261 221 ლარი.

სპორტული ოონისძიებების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 622 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 76 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 75 115 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 80 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79 209 ლარი.

სპორტული სტადიონების რეაბილიტაცია (დაბა ქედა 105300, სოფელ პ.მაისი 66900, სოფელი ახო 63000, სოფელი ახო #1 საშუალო სკოლასთან 64800) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 461 765 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 438 779 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 868 780 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 864 466 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 654 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 651 180 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 880 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119 993 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 68 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68 146 ლარი.

კულტურული ორგანიზების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2019 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 147 ლარი.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა

განისაზღვრა 3 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 994 ლარი.

**გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა** 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 277 ლარი.

### განხორციელდა:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება -მუნიციპალიტეტში მცხოვრები 75 ქალბატონს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.
- 8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში - რომელიც მიეძღვნა პანდემიასთან ბრძოლას და შესაბამისი ბიუჯეტი გადანაწილდა სოციალური მიმართულებით: „ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახებისათვის ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა“, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში „ქედის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახებისათვის სასურსათო პროდუქტების შესყიდვა“, ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა საპატიო ქედელები.
- ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, ღონისძიების ფარგლებში შეირჩა 1929-1930-1931 წლებში დაბადებული ბენეფიციარები, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები (76 ბენეფიციარს);
- ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები;
- კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიების „ეტალონის“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა;
- ინტერმუნიციპალური ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“;
- დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ასევე, ანიმაციური ფილმების ჩვენება „თოფუზი“ და 9 მასი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე.
- 2019 წლის განმავლობაში სპორტსმენები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო შედეგები, სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება;
- ჭადრაკი- აჭარის პირველობა (8, 12, 16) წლამდე ასაკი(ქ. ბათუმი) (8 მონაწილე, 8 დღე). ( სალამე დიანა III ადგილი მოიპოვა).
- საქართველოს პირველობა თავისუფალი ჭიდაობაში. წარმატებას მიაღწიეს დავით ფარტენაძემ და ნიკა აშაშიძემ;
- კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში-კონკურსი მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოწავლეები, სულ დაყოფილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფად.

### VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 365 274 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 322 034 ლარი, მათ შორის:**

**ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 407 792 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 379 153 ლარი, საიდანაც**

**ამბულატორიული მომსახურეობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154 092 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 153 841 ლარი.**

**სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 133 012 ლარი.**

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 92 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 92 300 ლარი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით რიგი დაწესებულებების სადეზინფექციო დამუშავებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 400 ლარი.

სამკურნალო/გამაჯანსებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 957 482 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 942 881 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 24 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 858 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 31 595 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 769 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 025 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 66 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 63 000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46 355 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45 155 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 686 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 243 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 620 582 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 619 083 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 487 ლარი.

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძლებელი ფინანსური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60 475 ლარი.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 36 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35 100 ლარი.

სამსახური გარკვეულ მუშაობას ატარებს ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელ ფაქტორებზე და შ.შ.მ პირების სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციის კუთხით. შეიქმნა მომუშავე მრჩეველთა საბჭო.

სამსახურის მიერ სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი თსპ-სა და პჯდ-ის ცენტრებში. გარდა პროგრამებისა, გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შუამდგომლობა გაეწია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად **22 ოჯახს**, **12 ოჯახმა შეიძინა საცხოვრებელი ფართი.** შუამდგომლობა გაეწია 2 ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დასახმარებლად.

წლის განმავლობაში შემოვიდა 262 განცხადება საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით. შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, სადაც მითითებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, როგორც განსახლება, ასევე საცხოვრებელი სახლის გამაგრება და მიმდებარე ტერიტორიების ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. დასკვნების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 17 მოქალაქეს. ასევე, მერის სარეზერვო ფონდიდან **180 მოქალაქე** დაფინანსდა სხვადასხვა ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯების უზრუნველსაყოფად.

#### **ადმინისტრაციული სამსახური:**

- მოცემული პერიოდისთვის საქმისწარმოების განყოფილებაში დოკუმენტბრუნვის რაოდენობამ შეადგინა **14 950;**
- ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - „მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭომ“ 2020 წელს ჯამში 16 სხდომა გამართა, რომლის ფარგლებში 1 119 განცხადება განიხილა. მათ შორის:
  - მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა/აღუდგა სულ 732 მოქალაქეს;
  - საბჭომ მიმდინარე წლის განმავლობაში, მაღალმთიანი საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზით სტატუსი 118 მოქალაქეს, ხოლო რეგისტრაციის ცვლილებისა და გარდაცვალების გამო 269 მოქალაქეს შეუწყვიტა.
- „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების“ კომისიამ 2020 წლის განმავლობაში ჯამში 9 სხდომა გამართა და 262 საკითხი განიხილა. მათ შორის:
  - დადებითად გადაწყდა - 136 საკითხი;
  - უარყოფითად - 30;
  - გადაიდო 61 საკითხის განხილვა;
  - კომისიის სახელზე სულ შემოსული იყო 453 განცხადება.
- მიუხედვად პანდემიისა, ქალთა ოთახის მთავარ პრიორიტეტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რომლის ფარგლებში არაერთ ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის დასანარგად გაიმართა არაერთი ღინისძიება და მთვარი მიმართულება, არა ძალადობის კამპანია იყო.

## ეკონომიკური განვითარების სამსახური:

2020 წელს მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილი შესყიდვების ღირებულება შეადგენდა **5 403 773 ლარს.** აქედან, წლის განმავლობაში განხორციელდა **4 930 475 ლარის** შესყიდვა. მათ შორის:

- ✓ კაპიტალური მშენებლობებისათვის **4 084 960 ლარის** შესყიდვები;
- ✓ ჯანმრთელობის პროგრამების განხორციელებისათვის **245 700 ლარის** შესყიდვები;
- ✓ შესყიდვების განხორციელების მიზნით განხორციელდა **74 ელექტრონული ტენდერი.** მათგან:

- დადებითად დასრულდა და გაფორმდა **60 ხელშეკრულება;**
- შეწყვეტილია **6 ტენდერი;**
- არ შედგა **8 ტენდერი.**
  - ✓ სულ შესყიდვებზე გაფორმდა **257 ხელშეკრულება.** აქედან:
    - გამარტივებული წესით **191 ხელშეკრულება;**
    - კონსოლიდირებული ტენდერით **6 ხელშეკრულება.**

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გაფორმდა **45 ხელშეკრულება,** მათგან შესრულდა **43 ხელშეკრულება,** შეწყდა **2 ხელშეკრულება:** ქედის ისტორიული მუზეუმის შენობის მშენებლობისათვის და სანიაღვრე არხების მოწყობისათვის შპს „ნევ სტაილ ბილდინგთან“ და შპს „გიგა-2015“-თან გაფორმებული ხელშეკრულებები.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული იქნა **8 აუქციონი** მათ შორის მოხდა **7 ქონების** პრივატიზება. გასხვისდა ერთი არასაცხოვრებელი ფართი კომერციული გამოყენების პირობებით და **6 არასასოფლო-სამეურნეო** დანიშნულების მიწის ფართობი კომერციული ობიექტების მშენებლობის პირობით.

- სულ ქონების რეალიზებით მიღებული შემოსავალი შეადგენს **123 809 ლარს.**
- მოსახლეობის საჭიროებისათვის გაცემული ხე-ტყის რაოდენობა **122 ოჯახზე** შეადგენს **890 კუბ.** მეტრს.

## სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

2020 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მათი სახარჯთაღვრიცხვო დოკუმენტაციის შესასრულებლად სულ დაიხარჯა **462 77 ლარი.**

2020 წელს შპს „თბილგზაპროეტი“-ს მიერ მომზადდა გზების, გზის სამაგრი კედლების, გაბიონებისა და სანიაღვრე არხების პროექტები, სულ 23 პროექტი, რომლებშიც სულ გადახდილია **13 000 ლარი.** შესყიდული 23 პროექტიდან 2 პროექტი: სოფელ პირველმაისის ცენტრის სპორტული მოედნის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა და სოფელ ქედაში ეკნარას უბანში საავტომობილო გზაზე გაბიონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობა სულ თანხით **18 263 ლარი** 2020 წელშივე განხორციელდა. დარჩენილი 21 პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2021 წლისთვის.

ი/მ რევაზ დიდამინიძის საპროექტო ორგანიზაციის მიერ მომზადდა **7 ერთეული** პროექტი სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად. რომელთა პროექტების მომზადებისთვის ქედის მუნიციპალიტეტის მერიას გადახდილი აქვს **13 000 ლარი.** გამოცხადებულია ტენდერი ცხმორისის ადნინისტრაციული ერთეულის სოფელ კოკოტაურში 20 ოჯახუსათვის ახალი სასმელი წყლის სიტემის მშენებლობა, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის არსებული ბაგა-

ბალის წყლის სიტემის რეაბილიტაცია და სოფელი დანდალოს ოტოლამეების უბანში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტებზე, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენს **156 822 ლარს.**

შპს „არქდიზაინ ჯუფი“-ს მიერ მომზადდა სოფელ გეგელიძეებში არსებული ფრიდონ ხალვაშის სახელობის სახლმუზეუმის რემონტის საპროექტო-სახარჯთაღვრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის მომზადებისთვის გადახდილია 7 877 ლარი. პროექტის განხორციელება იგეგმება 2021 წელს.

შპს „მრავალკუთხედი“-ს მიერ მომზადდა დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩა N 13 -ში და N 15-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღვრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტის განხორციელების დაწყება იგეგმება მიმდინარე, ხოლო დასრულება 2022 წელს.

2020 წელში დაგეგმილი და უკვე გამოცხადებული შესასრულებელი პროექტებიდან ბოლომდე არ დასრულდა 5, მათ შორის დაბა ქედაში მერაბ კოსტავას N 3-ში მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია მუზეუმის განსათავსებლად. ხელშეკრულებით განსაზღვრული **309 999** ლარიდან მშენებელი ორგანიზაციის შპს „ ნევ სტაილბილდინგი“-ს მიერ შესრულებული იქნა **106 434** ლარის სამუშაოები. ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მშენებელმა კომპანიამ ვერ მოახერხა დაგეგმილი სამუშაოების ნახევარის შესრულებაც ვი. ასევე, სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდიანრე შეწყდა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოცხადებული 4 სხვადასხვა ობიექტის ტენდერი, რომელთა საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა **51 345 ლარს.** მათგან **40 307 ლარი** გამოყენებულ იქნა აღტერნატიული სხვა პროეტების განსახორციელებლად.

### ზედამხედველობის სამსახური:

- საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 6 (ექვსი) სამშენებლო ნებართვა.
- მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში დაბა ქედაში თვითმომსახურებადი ავტო-სამრეცხაოს, სოფელ წონიარისში ქათმის ფერმის დანიშნულების შენობა და გაზიფიცირების მიზნით გაზსადენის შიდა გამანაწილებელი ქსელების მშენებლობები ზენდიდში, ხუნკუდაში, სოფელ ქედაში, გულებში და დაბა ქედაში.
- სამშენებლო სამართალდასრულვევის გამო ფიზიკურ პირს უნებართვო მშენებლობის განხორციელების გამო მიეცა გაფრთხილება მშენებლობის შეჩერებისა და დემონტაჟისათვის, რაც შესრულდა.
- ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვის-ის სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე.“
- ჩატარდა გამწვანების აქცია აღმაშენებლის ქუჩაზე ა (ა) იპ ქედის სასპორტო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაირგო წიწვოვანი მცენარეები.
- დასუთავდა სოფელ მოსისშვილებში მდ. აჭარისწყლის კალაპოტში დაყრილი სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია აგვისტოს თვეში.
- მერიის ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით ქედაში „დავასუფთაოთ მსოფლიო“ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მორიგი დასუთავების აქცია ქედა-პ/მაისის მიმართულებით ბათუმი-აზზალციხის ცენტრალურ საავტომობილო გზის 10 კილომეტრიან მონაკვეთზე.
- სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციაპლიტეტის სოფლებიდან.
- ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით სისტემატიურად იმართებოდა სადენზინფექციო

- სამუშაოები ხალხმრავალ ადგილებში, აფთიაქებსა, სავაჭრო ობიექტებსა, ორგანიზაცია/დაწესებულებებში. დაბა ქედის, აწესის დასახლების ქუჩებზე და მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სადარბაზოებში.
- სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
  - განხორციელდა დოლოგნის, დაბა ქედისა და პ/მაისის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები. სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.
  - შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აბუსერიძის აწვესის, რუსთავლის, სახოკიასა და გოგებაშვილის ქუჩაზე. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შევაბურის, ქედა-ზენდიდისა და ახოს სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.
  - სისტემატიურად ხორციელდებოდა კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების, უსახურ, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარების.
  - „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა-2020 ფარგლებში“ მუნიციპალიტრტის 37 სოფელში შიდა საუბნო გზებზე დაიგო ბეტონის საფარი და 39 სოფელში გაფართოვდა გარე განათების ქსელი.

### სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის გეგმა – დავალება შეადგენდა 62 წვევამდელს. წლის განმავლობაში წვევამდელთა შემკრებ - გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილი იქნა 24 წვევამდელი, მათგან :

- მუდმივმოქმედმა სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიამ ცნო ვარგისად სამხედრო სამსახურისთვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში -16 წვევამდელი.
- 6 წვევამდელი მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.
- 2 წვევამდელი ჩაითვალა დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით.
- 1 წვევამდელი გაიგზავნა დამატებით გამოვლევაზე.

გაწვევით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:

- შ.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - 9 წვევამდელი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა - 6 წვევამდელი.

2020 წელს დასრულდა 2003 წელს დაბადებული 121 ჭაბუკის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და სექტემბრის თვითდან დაიწყო 2004 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მოსამზადებელი სამუშაოები.

წლის განმავლობაში რეზერვში ჩარიცხულია 145 სამხედრო ვალდებული. მათ შორის:

- 27 წლის შესრულების გამო – 82 მოქალაქე;
